

ჰიპოთალამუსი და ჰიპოფიზის ჰორმონები

1. წინა ჰიპოფიზის ჰორმონები და მათი რეგულაცია ჰიპოთალამუსიდან - ფარმაკოლოგიური სამიზნეები.
2. ზრდის ჰორმონის და ინსულინის მსგავსი ფაქტორი 1-ის
3. ზრდის ჰორმონის რეკომბინანტული ფორმა
4. სომატოტროპინის კლინიკური გამოყენება ბავშვებში
5. სომატოტროპინის გამოყენება ბავშვებში იდიოპათური დაბალი სიმაღლით, რომელთაც არ აღენიშნებათ ზრდის ჰორმონის დეფიციტი
6. მოზრდილებში ზრდის ჰორმონის ანალოგების გამოყენება.
7. ზრდის ჰორმონის გვერდითი ეფექტები ბავშვებში და მოზრდილებში.
8. ინსულინის მსგავსი ფაქტორი 1-ის რეკომბინანტული ფორმის - მეკასერმინის კლინიკური გამოყენება
9. მეკასერმინის გვერდითი ეფექტები და პრევენციის გზები.
10. მეკასერმინის კომბინაცია ინსულინის მსგავსი ფაქტორი 1-ის შემკავშირებელ ცილა 3-თან.
11. სომატოსტატინის და მისი სინთეზური ანალოგების მოქმედების მექანიზმი - ოქტრეოტიდი და ლანრეოტიდი
12. ოქტრეოტიდის და ლანრეოტიდის გვერდითი ეფექტები
13. პეგვისომანტის ურთიერთქმედებს ზრდის ჰორმონის რეცეპტორებთან
14. გონადოტროპინის და მათი ანალოგების კლინიკური გამოყენება
15. გონადოტროპინის პრეპარატები - მენოტროპინები
16. ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი და მისი ანალოგები
17. მალუთეინიზებელი ჰორმონი და მისი ანალოგები – ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი და ლუტროპინი
18. გონადოტროპინის რელიზური ჰორმონის (GnRH) ეფექტი პულსური წესით შეყვანისას და მდგრადი დოზირებისას.
19. სინთეზური GnRH აგონისტები – ლეუპროლიდი, გოსერელინი, ჰისტრელინი, ნაფარელინი და ტრიპტორელინი.
20. GnRH აგონისტების კლინიკური გამოყენება
21. GnRH აგონისტების მდგრადი დოზირებით გამოყენების გვერდითი ეფექტები
22. GnRH ანტაგონისტები და მათი კლინიკური გამოყენება
23. GnRh ანტაგონისტების გვერდითი ეფექტები და GnRH აგონისტების გვერდითი ეფექტებიდან.
24. დოფამინი 2 რეცეპტორების აგონისტები ჰიპერპროლაქტინემიისა და აკრომეგალიისთვის
25. ჰიპერპროლაქტინემიის ფარმაკოლოგიური მიზნეები
26. ოქსიტოცინის ეფექტი და მისი კლინიკური გამოყენება.
27. ოქსიტოცინის ანტაგონისტების ტოკოლიზური ეფექტი
28. ვაზოპრესინის რეცეპტორების ფუნქციები
29. ვაზოპრესინი 2 რეცეპტორის აგონისტის - დესმოპრესინის კლინიკური გამოყენება.
30. ვაზოპრესინის კლინიკური გამოყენება ეზოფაგური ვარიკოზებიდან ან კოლინჯის დივერტიკულიდან სისხლდენის დროს.

31. ვაზოპრესინის ანტაგონისტის კლინიკური გამოყენება – კონივაპტანი, ტოლვაპტანი და დემეკლოციკლინი.

თირეოიდული და ანტითირეოიდული წამლები

32. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები. მათი გამოყოფის მასტიმულირებელი ჰორმონები. თირეოტროპული ჰორმონის მასტიმულირებელი ჰიპოთალამური ჰორმონი.
33. ორგანიზმისთვის იოდის რეკომენდებული დღიური რაოდენობა (მათ შორის ორსულებში). ფარისებრ ჯირკვალში და მისი აპიკალური მემბრანის გასწვრივ იოდის ტრანსპორტის მექანიზმი. სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების T3 და T4 შემცირების ზეგავლენა თირეოტროპული ჰორმონის სეკრეციაზე.
34. ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი ჰორმონის (TSH) მიერ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სინთეზის და პროდუქციის მექანიზმი. იოდის ორგანიფიკაციის ცნება. ფერმენტ პეროქსიდაზას მოქმედების მექანიზმი.
35. ფარისებრ ჯირკვალში იოდის ტრანსპორტის და მისი ორგანიფიკაციის პროცესის დამთრგუნველი საშუალებები. პრეპარატები, რომლებიც ხელს უშლიან პროტეოლიზის მემშვეობით ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების T3 და T4 სისხლში გამონთავისუფლებას.
36. პერიფერიულ ქსოვილებში ტეტრაიოდთირონინიდან (T4) ტრიიოდთირონინის (T3) წარმოქმნის დამთრგუნველი საშუალებები. პერიფერიულ ქსოვილებში T4-ის მეტაბოლიზმის შედეგად T3-ის წარმოქმნის ქიმიური რეაქცია. რევერსული (მეტაბოლურად არააქტიური) ტრიიოდთირონინის (T3) წარმოქმნის რეაქცია.
37. გრეივისის დაავადების განვითარების მექანიზმი და ფარისებრი ჯირკვლის მასტიმულირებელი ჰორმონის (TSH) რეცეპტორების აქტივაციის როლი. ჰიპერ და ჰიპოთირეოიდიზმის მოქმედება TSH, T3 და T4-ის რაოდენობაზე, T3-ის რეცეპტორები.
38. ანტითირეოიდული პრეპარატები. თიოამიდების მოქმედების მექანიზმი. პროპილთიოურაცილის და მეთიმაზოლის ეფექტის ხანგრძლივობა, მათი ნახევარგამოყოფის პერიოდი (t1/2) და გვერდითი მოვლენები. თიოამიდების ყველაზე საშიში გართულება.
39. იოდიდის მარილების და იოდინის მოქმედების მექანიზმი, ფარისებრი ჯირკვლის “გასხლტომის“ ეფექტი.
40. იოდიდის მარილების გვერდითი ეფექტები
41. რადიოაქტიური იოდის მოქმედების მექანიზმი
42. რადიოაქტიური იოდის კლინიკური გამოყენება და უკუჩვენებები
43. ანიონური ინჰიბიტორების მოქმედების მექანიზმი და მათი გვერდითი ეფექტები
44. ბეტადრენობლოკატორების გამოყენება თირეოტოქსიკოზის სამკურნალოდ.
45. თირეოიდული შტორმის მკურნალობა
46. ამიოდარონის ეფექტები ფარისებრ ჯირკვალზე
47. იოდინირებული რადიოკონტრასტული ნივთიერების ეფექტი ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებზე.

სასქესო ჰორმონები და მათი ინჰიბიტორები

1. ესტროგენისი და პროგესტერონის მოქმედების მექანიზმი
2. ესტრადიოლისა და მისი სინთეზური ანალოგების ბიოშელწვევალობა

3. ესტროგენების ეფექტი რეპროდუქციულ განვითარებაზე და მეტაბოლიზმზე
4. ესტროგენების კლინიკური გამოყენება
5. ტოქსიკურობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში
6. ესტროგენების ღვიძლისმიერი ეფექტები და მათი პრევენცია
7. დიეთილსტილბესტროლის ტოქსიკურობა
8. პროგესტინების ბიოშელწვეადობა და ანდროგენური ეფექტები.
9. პროგესტერონის ეფექტები
10. პროგესტინების კლინიკური გამოყენება
11. პროგესტინების ეფექტი ენდომეტროუმის და მუშუს კიბოზე.
12. პროგესტინების ტოქსიკურობა
13. პერორალური კონტრაცეპტივების ტიპები
14. პსტკოიტური კონტრაცეპტივების ტიპები
15. ჰორმონული კონტრაცეპტივების მოქმედების მექანიზმი
16. კონტრაცეპტივების კლინიკური გამოყენება
17. კონტრაცეპტივების გამოყენებასთან დაკავშირებული თრომბოემბოლიზმი
18. მუშუს კიბო და კონტრაცეპტივების სხვა ტოქსიკურობა
19. სელექტიური ესტროგენური რეცეპტორების მოდულატორების მოქმედების მექანიზმი
20. ტამოქსიფენის მოქმედების სამიზნეები
21. ტამოქსიფენის და ტორემიფენის კლინიკური გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები
22. რალოქსიფენის მოქმედების სამიზნეები.
23. კლომიფენის მოქმედებისმექანიზმი, კლინიკური გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები
24. ფულვესტრანტის მოქმედების მექანიზმი
25. ნასტროზოლის, ლეტროზოლის, ექსემესტანის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
26. დანაზოლის მოქმედებისმექანიზმი, კლინიკური გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები.
27. GnRH აგონისტების და ანტაგონისტების კლინიკური გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები.
28. მიფეპრისტონის და ულპრისტალის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
29. ტესტოსტერონის და მეთილტესტოსტერონის მეტაბოლიზმი და მოქმედების მექანიზმი.
30. ტესტოსტერონის და მეთილტესტოსტერონის კლინიკური გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები.
31. ანდროგენული ჰორმონების ანაბოლური მოქმედება
32. სხვადასხვა ტიპის ანტიანდროგენები
33. ანდროგენული რეცეპტორების ინჰიბიტორების კლინიკური გამოყენება
34. კეტოკონაზოლის და სპირონოლაქტონის ანტიანდროგენული მოქმედება
35. ფინესტირიდის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
36. ტამსულოზინის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
37. მინოქსიდილის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
38. ტოქკოლიზური საშუალებების კლინიკური გამოყენება
39. სპილენძის შემცველი საშვილოსნოსშიდა საშუალებების მოქმედების მექანიზმი, კლინიკური გამოყენება და გვერდითი ეფექტები
40. ანდროგენ-გამოწვეული ჰირსუტიზმის მკურნალობა კომბინირებული კონტრაცეპტივებით

41. ციტოქრომ P450 და ჰორმონული კონტრაცეპტივები

ადრენოკორტიკოსტეროიდები და მათი ანტაგონისტები

48. გლუკოკორტიკოიდები. ბუნებრივი და სინთეზური გლუკო- და მინერალოკორტიკოიდები.
49. ჰიპოფიზის ჰორმონებით თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის სტიმულირება. დამოკიდებულება - თირკმელზედა ჯირკვლის სტეროიდულ ჰორმონებსა და ადრენოკორტიკოტროპულ ჰორმონსა (აკტპ) და ჰიპოთალამურ ჰორმონებს შორის (კორტიკოლიბერინი). აკტპ-თი გლუკოკორტიკოიდების სინთეზის გაძლიერების მეორადული მესენჯერული მექანიზმი.
50. გლუკოკორტიკოიდების (სტეროიდული ჰორმონების) რეცეპტორები და მათი მოქმედების მექანიზმი. ჩანაცვლებითი თერაპიისთვის სტეროიდული ჰორმონების გამოყენება.
51. გლუკოკორტიკოიდების გამოყენება ადგილობრივი ანთების, თავის ტვინის შეშუპების და ართრიტების დროს სახსარშიდა ინექციების სახით. მინერალოკორტიკოიდების გამოყოფის ინტენსივობის კავშირი Na^+ -ის დონესთან სისხლში.
52. გლუკოკორტიკოიდების ანთების საწინააღმდეგო მოქმედების მექანიზმი და მისი კავშირი ფერმენტ ფოსფოლიპაზა A2-თან. გლუკოკორტიკოიდების მოქმედება სისხლში იმუნოკომპეტენტური უჯრედების და მაკროფაგების რაოდენობაზე. გლუკოკორტიკოიდების იმუნოდეპრესული მოქმედების კავშირი ინტერლეიკინ 1 და 2—ის პროდუქციასთან.
53. გლუკოკორტიკოიდების მოქმედება სისხლში ნეიტროფილების და ლიმფოციტების რაოდენობაზე. მათი ეფექტი კრუნჩხვების ზღურბლზე. გლუკოკორტიკოიდების მოქმედება ნახშირწყლოვან, ცილოვან და ლიპიდურ ცვლაზე. მათი ეფექტი ძვლოვან ქსოვილზე.
54. გლუკოკორტიკოიდების გამოყენების ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები, გვერდითი მოვლენები და გართულებები. ადისონის დაავადების სიმპტომები და მისი მკურნალობა.
55. პირველადი ალდოსტერონიზმის (თირკმელზედა ჯირკვლის ადენომა) სიმპტომები და მისი მკურნალობა.
56. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ფუნქციის დამორგუნველი საშუალებები. ჰიპოფიზის წინა წილის ფუნქციის მაინჰიბირებელი და მასტიმულირებელი საშუალებები.
57. გლუკოკორტიკოიდები, რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე ძლიერი ანთების საწინააღმდეგო ეფექტით. პერორული მიღებისას ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი გლუკოკორტიკოიდი.

ძვლის მინერალურ ცვლაზე მოქმედი საშუალებები

58. პარათირეოიდული ჰორმონის ეფექტები ძვალსა და თირკმელში
59. RANK ლიგანდის მნიშვნელობა
60. განსხვავება პარათირეოიდული ჰორმონის მაღალ დოზებსა და დაბალი წყვეტილი დოზით გამოყენებას შორის

61. ტერიპარატიდის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
62. იონიზირებული კალციუმის და ვიტამინი D-ს როლი პარათირეოიდული ჰორმონის სეკრეციის რეგულაციაში
63. ვიტამინ D-ს ფორმები, რომელიც გარედან შეიწოვება და წარმოიქმნება ადამიანის ორგანიზმში
64. ვიტამინ D-ს აქტიური და არააქტიური ფორმები და მათი მეტაბოლიზმი
65. პარათირეოიდული ჰორმონის ეფექტი ვიტამინ D-ს მეტაბოლიზმზე
66. ვიტამინ D-ს ეფექტი ძვალში, ნაწლავში და თირკმელში
67. ვიტამინ D-ს მოქმედება კალციუმისა და ფოსფატის დონეზე შრატში
68. პარათირეოიდული ჰორმონის მოქმედება კალციუმისა და ფოსფატის დონეზე შრატში
69. ვიტამინი D-ს დეფიციტის კლინიკური სურათი ბანშვებში და მოზრდილებში
70. ვიტამინი D-ს, მისი მეტაბოლიტების და წარმოებულების გამოყენების ჩვენება
71. ადგილობრივი გამოყენების ვიტამინი D-ს კლინიკური ჩვენება
72. კალციტრიოლის ანალოგების ჩვენება
73. ვიტამინი D-ს ზედოზირების ნიშნები ხანგრძლივად გამოყენებისას.
74. FGF23 მოქმედების მექანიზმი
75. კალციტონინის ეფექტები ძვალსა და თირკმლებში, მისი გამოყენების ჩვენება
76. განსხვავება ადამიანის და ორაგულის კალციტონინს შორის
77. სელექტიური ესტროგენური რეცეპტორების მოდულატორების მოქმედების მექანიზმი და გამოყენების ჩვენება
78. გლუკოკორტიკოიდების ეფექტი ძვლების მინერალიზაციაზე
79. გლუკოკორტიკოიდების გამოყენება ჰიპერკალციემიის სამკურნალოდ
80. ბისფოსფონატების მოქმედების მექანიზმი, კლინიკური გამოყენება და გვერდითი ეფექტები
81. დენოზუმაბის მოქმედების მექანიზმი და კლინიკური გამოყენება
82. ცინაკალცეტის მოქმედების მექანიზმი, კლინიკური გამოყენება და გვერდითი ეფექტები
83. ფტორიდების მოქმედების მექანიზმი, კლინიკური გამოყენება და გვერდითი ეფექტები
84. თიაზიდების და ფუროსემიდის ეფექტი კალციუმზე სისხლსა და შარდში
85. სეველამერის გამოყენების ჩვენება

დიაბეტის სამკურნალო საშუალებები

86. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის სამკურნალო I და II თაობის სულფანილშარდოვანას ნაწარმები.
87. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის სამკურნალო პრეპარატები: ბიგუანიდები, თიაზოლიდინედიონები, ალფა-გლიკოზიდაზას ინჰიბიტორები და ამილინის სინთეზური ანალოგები.
88. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის სამკურნალო ხანმოკლე მოქმედების ინსულინები. ინსულინის სტანდარტი ერთეულებში.
89. ინსულინის სეკრეციის სტიმულაციის მექანიზმი.
90. ინსულინის მოქმედება ღვიძლის უჯრედებში ნახშირწყლოვან ცვლაზე (გლიკოგენოლიზის, გლიკოლიზის, გლუკოგენოზის ცვლილება და ფერმენტების: პირუვატკინაზას, ფოსფოფრუკტოკინაზას და გლუკოკინაზას აქტივობის ცვლილება).

91. ინსულინის მოქმედება ღვიძლის უჯრედებში ცხიმოვან ცვლაზე (ლიპოლიზის, ლიპოგენეზის, ლიპოპროტეიდლიპაზას აქტივობის, ტრიგლიცერიდების რაოდენობის და ცხიმოვანი მჟავების ეთერიფიკაციის ცვლილება).
92. ცხიმოვან უჯრედებში ინსულინის ეფექტები (მოქმედება: გლუკოზას შთანთქმაზე, გლიცეროლის, ტრიგლიცერიდების და ცხიმოვანი მჟავების სინთეზზე).
93. ინსულინის მოქმედება კუნთებში გლუკოზის შთანთქმაზე, გლიკოლიზზე, გლუკოგენეზზე და ამინომჟავების შთანთქმაზე.
94. ინსულინის რეცეპტორი, მისი დახასიათება და ინსულინის მოქმედების მექანიზმი. ორგანიზმში ინსულინის დეფიციტის მოქმედება: ლიპოლიზზე, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობაზე, მჟავა-ტუტეთა წონასწორობაზე, კეტოსხეულების წარმოქმნაზე.
95. ინსულინოთერაპიის იმუნოპათოლოგიური შედეგი სისხლში ინსულინის საწინააღმდეგო ანტისხეულების – IgG-ის წარმოქმნის გამო.
96. ჰიპოგლიკემიური ეფექტის მექანიზმი, ატფ-მგრძობიარე არხებზე მოქმედი ანტიდიაბეტური საშუალებები. ბიგუანიდების ჰიპოგლიკემიური მოქმედების მექანიზმი.
97. პიოგლიტაზონის და როსიგლიტაზონის ჰიპოგლიკემიური მოქმედების მექანიზმი.
98. რეპაგლინიდის, ნატეგლინიდის, პრამლინტიდის და ექსენატიდის ჰიპოგლიკემიური მოქმედების მექანიზმი.
99. ანტიდიაბეტური საშუალებების – სულფონილმარდოვანას ნაწარმების და ბიგუანიდების გვერდითი ეფექტები.
100. ანტიდიაბეტური საშუალებების – ალფა-გლიკოზიდაზას ინჰიბიტორების, თიაზოლიდინედიონების და ექსენატიდის გვერდითი ეფექტები.
101. ანტიდიაბეტური საშუალებების – სიტაგლიპტინის და პრამლინტიდის გვერდითი ეფექტები.
102. გლუკაგონის გამოყენების ჩვენებები.
103. ინსულინის გამოყენების ჩვენებები.
104. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის სამკურნალო პრეპარატები.
105. გლუკაგონის რენტგენოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენების ჩვენება.
106. ნატრიუმ-გლუკოზა ტრანსპორტერი 2-ის მოქმედების მექანიზმი, კლინიკური გამოყენება და ტოქსიკური ეფექტები

კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედი საშუალებები

107. ატროპინის მოქმედება კუჭის წვენის სეკრეციაზე, მისი გამოყენების შესაძლებლობა კოლიკების დროს და გამოყენების წინააღმდეგ ჩვენებები.
108. მუსკარინული ქოლინორეცეპტორების აგონისტების, ანტიქოლინესთერაზული საშუალებების და მუსკარინული ქოლინობლოკატორების მოქმედება სანერწყვე ჯირკვლების სეკრეციაზე.
109. კუჭის წყლულის სამკურნალო საშუალებების ჯგუფები: ჰისტამინური H2-რეცეპტორების ბლოკატორები და პროტონული ტუმბოს (H⁺K⁺-ატფ-აზას) ინჰიბიტორები. მათი და მუსკარინული ქოლინობლოკატორების მოქმედება კუჭის წვენის სეკრეციაზე.

110. კუჭის წვენის სეკრეციაზე მოქმედი მუსკარინული ქოლინობლოკატორის პირენზეპინის ფარმაკოლოგია.
111. ჰისტამინური H2-რეცეპტორების ბლოკატორები.
112. კუჭის წყლულის განვითარების პრევენციისთვის გამოყენებული პროსტაგლანდინ E1-ის სინთეზური ანალოგების გამოყენება.
113. ანტაციდური საშუალებები. გასტროპროტექტორები. *Helicobacter pylori*-ს საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული საშუალებები.
114. ღებინების საწინააღმდეგოდ გამოყენებული საშუალებების მეტოკლოპრამიდის, ონდანსეტრონის და სკოპოლამინის მოქმედება დოფამინურ სეროტონინურ და მუსკარინულ ქოლინორეცეპტორებზე, ღებინების საწინააღმდეგოდ გამოყენებული H1-ჰისტამინური რეცეპტორების ბლოკატორები (პრომეთაზინი).
115. პროკინეტიკური (გასტროკინეტიკური) საშუალებები. კუჭის მოტორიკის დამაქვეითებელი საშუალებები. პანკრეასის უკმარისობის დროს ჩანაცვლებითი თერაპიის სახით გამოყენებული ფერმენტული პრეპარატები.
116. აპომორფინის მოქმედების მექანიზმი ღებინების ცენტრზე. მ-ქოლინორეცეპტორების ანტაგონისტის სკოპოლამინისა და ანტიფსიქოზური (ნეიროლეფსური) საშუალების ქლოროპრომაზინის ღებინების საწინააღმდეგო მოქმედების მექანიზმი.
117. მეტოკლოპრამიდის, ჰალოპერიდოლის და ეტაპერაზინის (ანტიფსიქოზური, ნეიროლეფსური საშუალება) მოქმედება ღებინების ცენტრის ტრიგერული ზონის D2-დოფამინურ რეცეპტორებზე.
118. სეროტონინური 5-HT3 რეცეპტორების და D2-დოფამინური რეცეპტორების მახლოკირებელი ღებინების საწინააღმდეგო საშუალებები.
119. ატროპინის ნაღვლმდენი მოქმედის მექანიზმი. ნაღვლის წარმოქმნის სტიმულატორები. ოქსაფენამიდის მოქმედების მექანიზმი.
120. საფადარათო საშუალებების ჯგუფები და მათი წარმომადგენლები. ლაქტულოზას, სენის პრეპარატების მოქმედების მექანიზმი. ლოპერამიდის ანტიდიარეული მოქმედების მექანიზმი.
121. ჰიპოაციდური მდგომარეობისას დიაგნოსტიკური მიზნით ჰისტამინის გამოყენების მიზანშეწონილობა. კუჭის არასაკმარისი სეკრეტორული აქტივობის სამკურნალო საშუალებები. H2-ჰისტამინური რეცეპტორების ბლოკატორების, მ-ქოლინობლოკატორის – პირენზეპინის, პროსტაგლანდინ E1-ის სინთეზური ანალოგის მიზოპროსტოლის გამოყენების ჩვენებები.
122. ატროპინის და ანტიქოლინესთერაზული საშუალებების გამოყენების ჩვენებები. ოსმოსური საფადარათო საშუალებები. ალუმინის ჰიდროჟანგის და მაგნიუმის ჟანგის გვერდითი მოვლენები. სისტემური ალკალოზის გამომწვევი საფადარათო საშუალებები. ანტაციდების მცირე დოზების მოქმედება გასტრინის გამოყოფაზე.
123. არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტის დროს გამოსაყენებელი საშუალებები. გასტროპროტექტორების წარმომადგენლები. კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის სამკურნალო H1-ჰისტამინური რეცეპტორების ბლოკატორები და ანტაციდური საშუალებები.
124. ცენტრალური და პერიფერიული დოფამინური რეცეპტორების მახლოკირებელი გასტროკინეტიკური საშუალებები, მათი მოქმედების მექანიზმი.

ჰიპოლიპიდემური საშუალებები

125. ჰიპერლიპიდემიის სახეები. პირველადი ჰიპერლიპიდემიის გამომწვევი ფაქტორები და დაავადებები. ანტიათეროგენული ლიპოპროტეიდები.
126. ჰიპოლიპიდემური საშუალებების ფარმაკოლოგიური ჯგუფები (ანიონცვლადი ფისები, HMG-კოენზიმ-A-ს ინჰიბიტორები, ფიბრატები) და მათი წარმომადგენლები.
127. ჰიპოლიპიდემური საშუალებების - სტატინების მოქმედების მექანიზმი.
128. ჰიპოლიპიდემური საშუალებების - ანიონცვლადი ფისების, ფიბრატების და ნიკოტინის მჟავას მოქმედების მექანიზმი. გემფიბროზილის ფარმაკოლოგიური ეფექტი.
129. ჰიპოლიპიდემური საშუალებების – სტატინების სხვა პრეპარატებთან კომბინირების შესაძლებლობა.
130. სტატინებით გამოწვეული შესაძლო გართულებები.
131. სტატინების გამოყენება გულის იშემიური დაავადების დროს და მათი მიღების რეჟიმი.
132. ჰიპოლიპიდემური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის დროს.
133. ჰიპოლიპიდემური საშუალებების – სტატინების, ფიბრატების და იონთა ცვლადი ფისების გვერდითი მოვლენები.
134. ჰიპერლიპიდემიები პლაზმაში მომატებული ქილომიკრონების დონით, რომლებიც არ ექვემდებარებიან პრეპარატებით მკურნალობას.
135. ჰიპოლიპიდემური საშუალებების სტატინების, ფიბრატების, ნიკოტინის მჟავას და იონთა ცვლადი ფისების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში.